

იან კედი "რუსთავი 2"-ში მიმდინარე მოვლენებს ეხმაურება



ტელეკომპანია "რუსთავი 2"-ში მიმდინარე მოვლენებს აშშ-ის ელჩი საქართველოში იან კედი ეხმაურება და აღნიშნავს, რომ ხერმძღვანელობის შეცვლამ ტელეკომპანიის დამოუკიდებლობის შემცირება არ უნდა გამოიწვიოს.

“ჩვენ მხარს ვუჭერთ საქართველოში თავისუფარ მედია-გარემოს. ყურადღებით ვაკვირდებით მიმდინარე მოვლენებს და ვფიქრობთ, რომ ხერმძღვანელობის შეცვლა არ გამოიწვევს “რუსთავი 2”-ის დამოუკიდებლობის შეზღუდვას”, – განაცხადა იან კედიმ ქართულ-ამერიკულ უნივერსიტეტში გამართულ საქართველოსა და ამერიკას შორის დიპლომატიური ურთიერთობის 25 წლისთავისადმი მიძღვნილ ღონისძიებაზე.

გვარამიას გადადგომას არ ადასტურებს მისი პირველი მოადგილე ზაად ულუმაშვილი. მისი თქმით, თუ ცვლილება იქნება ეს ოფიციალურად გახდება ცნობილი.

“გავრცელებულ ინფორმაციას არ ვადასტურებ, ჯერჯერობით ნიკა გვარამია თანამდებობიდან არ გადაამდგარა, თუ ცვლილება იქნება ამის შესახებ განცხადება გაკეთდება” – აღნიშნავს „რუსთავი 2“-ის გენერალური დირექტორის მოადგილე.

“რუსთავი 2”-ში თათბირი მიმდინარეობს, რომელსაც, სავარაუდოდ, ძმები ყარამანიშვილები ესწრებიან. “რუსთავი 2”-ში ფინანსური კრიზისის გამო რეორგანიზაცია მიმდინარეობს. ნიკა გვარამია ამბობდა, რომ ფინანსურ პრობლემებს თუ ვერ მოაგვარებდა,

თანამდებობას დატოვებდა. ნიკა გვარამია “რუსთავი 2”-ის გენერალურ დირექტორად 2012 წლის ნოემბერში დაინიშნა, იყო განათლების მინისტრი, იუსტიციის მინისტრი და გენერალური პროკურორის მოადგილე. თანამდებობა დატოვა საინფორმაციო სამსახურის უფროსმაც. გიორგი დაფერაშვიდს ნოდარ მედაძე შეცვლის.